ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 5(99) 856 577

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №676

დ. ჩხოროწყუ. **16 ივნისი, 2015 წელი**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის,“ საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლისა და „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის № 1 ივნისის №31 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება-დაბა ჩხოროწყუში მდებარე 3250,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 განაშენიანების ფართი 747,72 კვ.მ (საერთო ფართი 699,13 კვ.მ), №2-40,96 კვ.მ (საერთო ფართი 30,25 კვ.მ), №3- 10,89 კვ.მ (საერთო ფართი 7,84 კვ.მ)(მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №46.02.45.116). არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 442261008) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში, „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრის“ არსებობის ვადით.

2. დაევალოს გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურს (ე. მალანია) უზრუნველყოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებისა და მიღება - ჩაბარების აქტის მომზადება საქართველოს კანომდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

დავით გოგია

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი